**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# აბაშიძე ნიკოლოზ ნესტორის ძე

აბაშიძე ნიკოლოზ ნესტორის ძე (1.XI. 1910, ბაქო, – 4. I. 1980, ბათუმი), არქიტექტორი. საქართვ. (1964) და აჭარის (1961) დამს. ინჟინერი. დაამთავრა საქართვ. ინდუსტრიული ინ-ტი (1937) და სპი (1956). 1929-იდან მუშაობდა აჭარის მშენებლობებზე. 1049-იდან სხვადასხვა მსხვილი სამშენებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელია, 1956-იდან - აჭარის სამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი არქიტექტურისა და მშენებლობის დარგში, 1971-იდან აჭარის სახმშენის უფროსი. მისი პროექტებით აშენდა კულტურის სასახლე ქობულეთში (1956) და კინოთეატრი „ბათუმი“ ბათუმში (1973), რამდენიმე საცხოვრებელი სახლი და სხვ. 1956-იდან ეწეოდა პედ. საქმიანობას.

იყო აჭარის VI და VII მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

*ს. კინწურაშვილი*

*მ. მაისურაძე*